საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაიოზ რექტორის სტამბა

გაიოზ რექტორის სტამბა, ქართული სტამბა. დაარსდა მოზდოკში 1796 გაიოზ რექტორის ინიციატივით. სტამბა გაუმართავს სასტამბო საქმის ცნობილ ოსტატს რომანოზ ზუბაშვილს. 1797 აქ დაიბეჭდა ქართ. ანბანი (ასომთავრული, ნუსხური და მხედრული შრიფტით), რ-საც ახლავს „ლოცვანი“ და „მოკლე საქრისტიანო სწავლა“ (ტირაჟი 600 ც.). 1796–1800 ამავე სტამბაში დაიბეჭდა გაიოზ რექტორის „ქართული ღრამმატიკა“ (ტირაჟი 630 ც-ზე მეტი), 1801 – „განწესება შინაგანისა საქართველოჲსა მართვისა“. სტამბამ იარსება 1803-მდე.

მ. დარჩია